პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 259 (9727) | კვირა, 1 ნოემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

სოფლის მეურნეობის მუშაკებო! იბრძოლეთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, რათა უახლოეს 2-3 წელიწადში სრულად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე, მხრივ და უზრუნველვყოთ მსუბუქი და კვების მრეწველობა ნედლეულით!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამა წლის 27-28 ოქტომბერს შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. პ. მ ჟ ა ვ ა ნ ა ძ ი ს მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ".

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შედეგებისა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობითა და დახმარებით საქართველოს მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

წლითიწლობით ვითარდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა. კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების ღირებულებამ 1952 წელს 4,5-ჯერ გადააჭარბა 1940 წლის დონეს. სერიოზული წარმატებებია მოპოვებული საქართველოს სოფლის მეურნეობის ისეთი გადამწყვეტი დარგების განვითარებაში, როგორიც არის ჩაის მეურნეობა, მეთამბაქოობა, მევენახეობა, მეციტრუსეობა. რესპუბლიკაში მუშაობს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი 104 მანქანა-ტრაქტორთა სადგური და მეცხოველეობის სამანქანო სადგური.

ამასთან ერთად საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ სოფლის მეურნეობაში გამოვლინებული დიდი ნაკლოვანებანი მთლიანად და უშუალოდ შეეხება საქართველოს სოფლის მეურნეობასაც. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებას არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს. ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის უდიდესი რეზერვები საკმაოდ არ არის გამოყენებული. რესპუბლიკაში ცოტა როდია კოლმეურნეობები და რაიონები, რომლებიც ჩამორჩენილი და უყურადღებოდ მიტოვებულიც კი არიან. ბევრ კოლმეურნეობასა და რაიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია. წლითიწლობით არ სრულდება პირუტყვის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების გეგმები. 1952 წელს წველადობამ საშუალოდ ერთ ძროხაზე შეადგინა მხოლოდ 457 კილოგრამი, როცა გეგმა 800 კილოგრამს ითვალისწინებდა.

სერიოზული ჩამორჩენაა ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის მოყვანის მექანიზაცია და პროგრესული მეთოდები სრულიად არადამაკმაყოფილებლად ინერგება.

დაშვებული იყო შეცდომები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების დაგეგმვაში. მიუხედავად განსაკუთრებული მნიშვნელობისა, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობაში აქვთ მრავალწლიან კულტურებს — ჩაის, ციტრუსოვანთა ნარგავებს, ვენახებს, ხეხილის ბაღებს, თამბაქოს, აგრეთვე მეაბრეშუმეობას, მარცვლეული კულტურების სათესი ფართობების გადიდების მიზნით ამცირებდნენ თამბაქოს ფართობებს, ზღუდავდნენ მევენახეობის შემდგომ განვითარებას. ახალი ბაღების გაშენება სავსებით შეწყდა, ხოლო საძოვრებისა და სათიბების მნიშვნელოვანი რაოდენობის მოხვნის გამო მეცხოველეობა დარჩა ისე, რომ არსებითად არა აქვს საკვები ბაზა.

ბევრ კოლმეურნეობაში არღვევდნენ კოლმეურნეთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორი შეხამების პრინციპს. ჯერ კიდევ დაბალია შრომის დისციპლინა, ყველა კოლმეურნე როდი იღებს აქტიურ მონაწილეობას საკოლმეურნეო წარმოებაში, ცოტა როდია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ფაქტი. ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ ტექნიკას, რომლითაც აღჭურვილი არიან მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ეს განსაკუთრებით შეეხება სოფლის მეურნეობაში კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხებს, სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების საკითხებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ჩვენი ქვეყნის პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, საკოლმეურნეო სოფლის ყველა მშრომელს მთელი სიგრძე-სიგანით დაუსახა სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის ამოცანები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი იწონებს და განუხრელი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის იღებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ პრაქტიკული დასკვნები უნდა გააკეთოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებიდან და ნაკლოვანებათა აღმოფხვრით უზრუნველყოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობა.

I.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკანასკნელ წლებში პირუტყვის სულადობის ერთგვარ მატებას მიაღწიეს. 1945 წლის ივლისიდან 1953 წლის ივლისამდე კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 180,3 ათასი სულით, აქედან ძროხისა — 64.8 ათასი სულით; ცხვრისა და თხის სულადობა გაიზარდა 906,5 ათასი სულით, ღორისა — 75.3 ათასი სულით.

რესპუბლიკის ზოგიერთმა კოლმეურნეობამ პირუტყვის შედარებით დიდ პროდუქტიულობას მიაღწია. გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ 1952 წელს საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიიღო 1.815 კილოგრამი რძე, გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 1.829 კილოგრამი, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ — 2.410 კილოგრამი რძე.

ამასთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ 1945 წელთან შედარებით საქართველოს კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში არსებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა შემცირდა 185,7 ათასი სულით, აქედან ძროხისა — 116,3 ათასი სულით; ცხვრისა და თხის სულადობა შემცირდა 147,6 ათასი სულით, ღორისა — 86,1 ათასი სულით.

პირუტყვის სულადობის ზრდის სახელმწიფო გეგმა ბევრ კოლმეურნეობაში უკანასკნელ წლებში არ სრულდება. პირუტყვის ცუდი კვებისა და მოვლის შედეგად მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში პროდუქტიულობა კვლავ მეტად დაბალ დონეზეა.

კოლმეურნეობები ყოველ წელიწადს მნიშვნელოვანი რაოდენობით კარგავენ პირუტყვს ცხოველთა სიკვდილიანობისა და დედაპირუტყვის ბერწიანობის გამო. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ყოველწლიურად ბერწად რჩება ძროხების 40-45 პროცენტი.

კოლმეურნეობების, ადგილობრივი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ბევრი ხელმძღვანელი, ნაცვლად იმისა, რომ ფერმებში მოაწყოს მუშაობა საზოგადოებრივი პირუტყვის მოსამრავლებლად, კვლავ მასობრივად ყიდულობს პირუტყვს კოლმეურნეებისაგან. 1952 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა სულადობის გეგმის შესასრულებლად შეისყიდეს 91,4 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 73,3 ათასი სული ცხვარი და თხა და 13,6 ათასი ღორი, რაზეც დახარჯეს 98 მილიონი მანეთი, ანუ კოლმეურნეობათა მიერ მეცხოველეობისაგან მიღებული ფულადი შემოსავლის 39,2 პროცენტი.

მეცხოველეობის განვითარებაში არსებული ცუდი მდგომარეობა აიხსნება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ყურადღება არ ექცევა საკვების წარმოებასა და დამზადებას. კოლმეურნეობებში საკვების წარმოება ძლიერ ჩამორჩება მეცხოველეობის მოთხოვნილებას.

ბევრ კოლმეურნეობაში სუსტად არის განვითარებული ბალახთესვა, მეტად დაბალია ბუნებრივი საკვები სავარგულებისა და ნათესი ბალახების მოსავლიანობა, არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა საკვები ძირხვენების, საკვები ბაღჩეული კულტურების წარმოების, აგრეთვე სასილოსე სიმინდისა და მზესუმზირას თესვის მხრივ.

საკვები კულტურების დაბალი მოსავლიანობის, აგრეთვე თივის აღების, ნამჯის აღებისა და დაზვინვის სუსტი მექანიზაციის შედეგად არ სრულდება საკვების დაგროვების სახელმწიფო გეგმები და მთელ რიგ რაიონებში პირუტყვი მთელი წლის განმავლობაში ჰყავთ მწირ საძოვრებზე ან უხეშ საკვებზე — ბზეზე, სიმინდის ჩალაზე. ყურადღება არ ექცევა საკვები რესურსების სწორი შენახვისა და რაციონალური გამოყენების საკითხებს, მათ მომზადებას პირუტყვისათვის მისაცემად, მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესებას.

ბევრ კოლმეურნეობაში არ სრულდება პირუტყვის სადგომების მშენებლობის გეგმები, რის გამო პირუტყვი პრიმიტიულ ბინებში ჰყავთ, ხოლო მის ნაწილს კოლმეურნეებს აძლევენ შესანახად.

მეცხოველეობის ფერმებში სუსტად ინერგება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. კოლმეურნეობებში დადგმულ მანქანებსა და აგრეგატებს ცუდად იყენებენ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში აფუჭებენ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები შეურიგდნენ ნაკლოვანებებს მეცხოველეობის განვითარებაში, ჯერ-ჯერობით ღონისძიებებს არ იღებენ იმისათვის, რომ ნამდვილად გაადიდონ საკვების წარმოება, სადგომებით უზრუნველყონ პირუტყვი, გაშალონ ფერმებში საკვებმოპოვებისა და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, გაუმჯობესონ ჯოგის მომრავლების საქმე და უზრუნველყონ მოზარდეულის შენარჩუნება. მეცნიერების მიღწევები და მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილება საკმაოდ არ ინერგება წარმოებაში.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ნაკლებად ზრუნავენ იმისათვის, რომ თვითეულმა საკოლმეურნეო კომლმა გაიჩინოს პირუტყვი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებული ნორმების ფარგლებში, დახმარებას არ უწევენ კოლმეურნეებს პირუტყვის საკვებითა და საძოვრებით უზრუნველყოფაში.

მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გადიდების მიზნით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. პარტიული, საბჭოთა ორგანოების, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, მეცხოველეობის სამანქანო სადგურებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს აღმოფხვრან შეუწყნარებელი ჩამორჩენა მეცხოველეობის განვითარებაში, შექმნან მტკიცე საკვები ბაზა, უზრუნველყონ ბინებით პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, მიაღწიონ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადაჭრით გადიდებას, ჯიშიანობის გაუმჯობესებას და უახლოეს 2-3 წელიწადში მიაღწიონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ გადიდებას.

2. რძის საერთო პროდუქციის გადიდებისა და საკუთარი მომრავლების გზით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის უზრუნველყოფის მიზნით გადაუდებელ ამოცანად ჩაითვალოს ძროხის სულადობის უსწრაფესი გადიდება კოლმეურნეობებში, რათა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმებში ძროხის სულადობის ხვედრითი წონა უახლოეს წლებში გადიდდეს საგარეუბნო რაიონების კოლმეურნეობებში სულ მცირე 60-მდე პროცენტით, მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებში სულ მცირე 40-მდე პროცენტით და დანარჩენი რაიონების კოლმეურნეობებში სულ მცირე 50-მდე პროცენტით. დაწესდეს, რომ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის მატების გეგმა შესრულებულად ითვლება მხოლოდ იმ პირობით, თუ შესრულებულია ძროხის სულადობის მატების გეგმა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დედაპირუტყვის ბერწიანობასთან ბრძოლას, ჯიშიანობის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ნაზმატყლიანი და ნახევრად-ნაზმატყლიანი ცხვრის გამოყვანას, აგრეთვე ფართოდ იქნას დანერგილი ხელოვნური დათესვა, განსაკუთრებით მეცხვარეობაში.

განუხრელად განხორციელდეს მოზარდეულის გაზრდის, მოზრდილი პირუტყვის შენარჩუნებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის დამატებითი საზღაურის მოქმედი სისტემა და უზრუნველყოფილ იქნას დამატებითი საზღაურის დროზე გაცემა.

მეფრინველეობის შემდგომი განვითარების მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს, რომ კოლმეურნეობებს ჰქონდეთ მეფრინველეობის ფერმები, სადაც 1954-1955 წლებში ეყოლებათ სულ მცირე 130 კვერცხმდები ქათამი მარცვლეული კულტურების ნათესების ყოველ 100 ჰექტარზე ზონების თავისებურებათა გათვალისწინებით. ყოველი ღონისძიებით გადიდდეს ინდაურის სულადობა, ხოლო იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მდელო-საძოვარი სავარგულები და წყალსატევები აქვთ, ქათამებს გარდა მოშენებულ იქნას აგრეთვე ბატები და იხვები.

დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მეცხოველეობის დარგში დავალებათა დაწესებისას ყოველმხრივ გაითვალისწინოს ცალკეული რაიონებისა და კოლმეურნეობების ეკონომიური და ბუნებრივი პირობები.

3. ზუსტად განხორციელდეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ჰექტარობრივი პრინციპი, რაც შემოღებულია პარტიისა და მთავრობის მიერ. დაშვებულ არ იქნას მეცხოველეობის განვითარების მხრივ მოწინავე კოლმეურნეობებისათვის დავალებათა გადიდების მავნე პრაქტიკა. დაწესდეს, რომ ერთი რაიონის ფარგლებში უნდა მოქმედებდეს, როგორც წესი, ჩაბარების ერთი საჰექტარო ნორმა.

4. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ფართოდ განუმარტონ კოლმეურნეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებანი მეცხოველეობის პროდუქტებზე დასამზადებელი და შესასყიდი ფასების გადიდების შესახებ, 1953 წლის მეორე ნახევარში ხორცის, რძისა და კვერცხის სახელმწიფო შესყიდვის გეგმისა და პირობების შესახებ, რომელთა მიზანია გადიდდეს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებით, კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ნორმების შემცირების შესახებ, აგრეთვე მეცხოველეობისაგან მიღებული ფულადი სახსრების კოლმეურნეთათვის ავანსად მიცემის დადგენილი წესის შესახებ.

დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მიიღონ ღონისძიებანი, რომ აუცილებლად შესრულდეს მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის სავალდებულო ჩაბარებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმები, რომლებიც დაწესებულია 1953 წლისათვის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს უმოკლეს ხანში აღმოფხვრან საკვები ბაზის უყურადღებოდ მიტოვება. მიაღწიონ ნათესი ფართობების გადიდებას და მკვეთრად აამაღლონ მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების, სასილოსე სიმინდისა და მზესუმზირას, საკვები ძირხვენების, საკვები ბაღჩეული კულტურების მოსავლიანობა და ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების ღონისძიებათა ფართო მასშტაბით განხორციელება.

საკვები კულტურების ფართობი 1954 წელს ნაყვანილ იქნას 90.000 ჰექტარამდე, ხოლო 1955 წელს — 170.000 ჰექტარამდე.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უახლოეს წლებში უზრუნველყოს სასილოსე კოშკების ისეთი მშენებლობა და სასილოსე მასის ისეთი წარმოება, რაც შესაძლებელს გახდის ერთ საფურაჟე ძროხაზე სულ მცირე 5-6 ტონა სილოსის ჩადებას.

მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რომ საკოლმეურნეო წარმოებაში დაინერგოს საკვები კულტურების შემჭიდროებული საშუალედო თესვა ნაწვერალზე და ბალახების თესვა.

ფართო მასშტაბით დაინერგოს პირუტყვის საზაფხულო ბაგურ-ბანაკური შენახვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საძოვრების ნაკვეთმორიგეობითი სისტემის გამოყენებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უახლოეს დროში ყველგან დაამთავრონ მთელი არსებული საკვების დამზადება, აღრიცხვა და შემოსავალში გატარება, მიზიდონ იგი პირუტყვის გამოზამთრების ადგილებთან როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე სამომთაბარო ზამთრის საძოვრებზე, დაიცვან საკვები გაფუჭებისა და დატაცებისაგან. თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შედგენილ იქნას საკვების ხარჯვის გეგმა და უზრუნველყოფილ იქნას მისი სწორი გამოყენება.

მიღებულ იქნას ღონისძიებანი პირუტყვის ვეტერინარული მომსახურების გასაუმჯობესებლად და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ვეტერინარული მომსახურების მოწყობას ცხვრის გადარეკვის დროს და ზამთრის საძოვრებზე.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს შეუქმნან მწყემსებს საჭირო მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, უზრუნველყონ ისინი საწარმოო ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით. დაევალოს ცეკავშირს უზრუნველყოს საწარმოო ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საჭირო რაოდენობით შეტანა მწყემსებისათვის.

6. ბოლო მოეღოს ბევრი მტს-ის გულგრილ დამოკიდებულებას საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების საქმისადმი. მიღებულ იქნას საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ 1954-55 წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდეს მექანიზაციის დონე მეცხოველეობის ფერმებში და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საკვებმოპოვებაში მექანიზაციის ფართოდ გამოყენებას.

დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს განსახილველად წარუდგინოს მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის ღონისძიებანი.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მისცეს რაიონებს მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის 1954 წლის გეგმები.

დამთავრდეს მეცხოველეობის სადგომების დაწყებული მშენებლობა, რემონტი, მოწყობა და დათბუნება, გაძლიერდეს საშენი მასალების დამზადება და მათი

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

(გაგრძელება)

მიზიდვა მშენებლობის ადგილებზე და არ შეწყდეს ზამთრის პერიოდში მუშაობა მეცხოველეობის სადგომების მშენებლობაზე.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის საჭირო საშენი მასალით (შიფერი, ხე-ტყე, ცემენტი და სხვ.) უზრუნველყოფის საკითხი, აგრეთვე კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობის საწარმოებში აგურის, კრამიტისა და კირის წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოების საკითხი. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს სამეურნეო მიზანშეწონილობის შემთხვევაში საკუთარი ძალებითა და სახსრებით დაამზადონ აგური, კრამიტი და კირი.

8. საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის მნიშვნელოვანი აღმავლობისა და მისი პროდუქტიულობის ზრდის მიზნით დაევალოს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს უზრუნველყოს კარგი თივის, წვნიანი საკვების საკმაო რაოდენობითა და კონცენტრირებული საკვების მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოება.

გადაჭრით გაუმჯობესდეს მშენებლობის საქმე და უზრუნველყოფილ იქნას პირუტყვის მთელი სულადობა კეთილმოწყობილი სადგომებით. უახლოეს 2-3 წელიწადში განხორციელდეს საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის კომპლექსური მექანიზაცია.

9. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგილობრივი პარტიული ორგანოების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭირო გადაჭრით გაძლიერდეს ხელმძღვანელობა მეცხოველეობის განვითარებისადმი. პარტიულმა ორგანოებმა ბოლო უნდა მოუღონ მეცხოველეობის მხრივ საქმის ვითარებაში ჩაურევლობის პრაქტიკას, განსაკუთრებით ჩამორჩენილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა უფრო სწრაფად დავეუფლოთ მეცხოველეობის მსხვილი მეურნეობის გაძღოლის ტექნიკას და ღრმად შევისწავლოთ მისი ეკონომიკა, შევქმნათ სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის მაღალკვალიფიციურ ხელმძღვანელთა მრავალრიცხოვანი კადრები. საჭიროა უზრუნველვყოთ შრომის სწორი ორგანიზაცია მეცხოველეობის ფერმებში, მათი დაკომპლექტება მეცხოველეობის საქმის მცოდნე და მოყვარული ადამიანებით, თვითეულ ფერმაში შემოვიღოთ მტკიცე წესრიგი და მივიღოთ ღონისძიებანი ზოოტექნიკური და ვეტერინარული წესების განუხრელად შესრულებისათვის. საჭიროა სწორად გავანაწილოთ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ძალები, რათა მეცხოველეობის მუშაკთა რიგები შეივსოს ახალი ათასობით კომუნისტითა და კომკავშირელით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებსა და ორგანიზატორებს, კომუნისტებსა და კომკავშირელებს, ყველა კოლმეურნეს და მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს გადაჭრით და ენერგიულად მოჰკიდონ ხელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების განუხრელად განხორციელებას და უახლოეს 2-3 წელიწადში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიონ მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების საქმეში.

II.

მრავალწლიანი კულტურების დარგში

უკანასკნელ წლებში საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაის ფართობების გასაადიდებლად, ციტრუსოვანი ნარგავების აღსადგენად და ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გასადიდებლად.

ამასთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არის მთელი რიგი რაიონები, როგორც, მაგალითად, წყალტუბოს, წულუკიძის, ხობის, გალის, ოჩამჩირის, წალენჯიხის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს რაიონები, სადაც ჩაის პლანტაციების ნაწილი უყურადღებოდ არის მიტოვებული და მათი მოსავლიანობა დაბალია. იმის გამო, რომ ჯეროვნად არ უვლიან ციტრუსოვანთა პლანტაციებს, ხეხილის ბაღებს, ვენახებსა და თუთის ნარგავებს, ბევრი კოლმეურნეობა მეტად დაბალ მოსავალს იღებს, განსაკუთრებით ციტრუსებისა და ხილისას. რესპუბლიკის მევენახეობის ძირითად რაიონებში უყურადღებოდ არის მიტოვებული საძირე ვაზის სადედეები, ხოლო მათი ნაწილი მოუვლელობის გამო იღუპება. ამის შედეგად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვერ უზრუნველყოფენ სტანდარტული სარგავი მასალის გამოყვანის გეგმების შესრულებას, რაც ზღუდავს მევენახეობის შემდგომ განვითარებას და ფუშავს ვაზის ძვირფასი ჯიშების გაშენების გეგმის შესრულებას.

საძირე ვაზის ლერწის განსაკუთრებით დაბალი გამოსავლიანობაა მაიაკოვსკის, თერჯოლის, საჩხერის, ზესტაფონის, ვანის, გეგეჭკორის, გორის, კასპის, საგარეჯოს, ახმეტის, სიღნაღის, ყვარლისა და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეობებში, ხოლო აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში საძირე ვაზის სადედეების მნიშვნელოვანი ნაწილი მოუვლელობის გამო დაიღუპა.

ცუდი მდგომარეობაა მრავალწლიანი კულტურების ახალგაზრდა ნარგავების მოვლის მხრივ. ახალგაზრდა ნარგავები მთლიანად არ არიან უზრუნველყოფილი ორგანული და მინერალური სასუქებით, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებას, სადრენაჟო და სარწყავი ქსელის მოწყობას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას. მთელ რიგ შემთხვევებში ახალგაზრდა ნარგავები შემოღობილი არ არის და ფუჭდება.

ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა უხარისხოდ, აგროტექნიკური ვადების დარღვევით აწარმოებს ნიადაგის დამუშავებას, სასუქის შეტანას, სხვლას, რწყვას, მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლას, არ ებრძვის მრავალწლიანი ნარგავების წახდენას პირუტყვის მიერ. ყურადღება არ ექცევა ციტრუსოვანთა პლანტაციების, ვენახებისა და ხეხილის ბაღების სიმეჩხრის ლიკვიდაციას, რაც დიდად ამცირებს მათს მოსავლიანობას.

საკმაოდ არ არის ორგანიზებული შრომა იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც ხეხილის ბაღების, ციტრუსოვანთა კულტურების პლანტაციებისა და ვენახების მნიშვნელოვანი ფართობები აქვთ, სპეციალური ბრიგადები ფორმალურად არსებობენ და მათ მეტწილად იყენებენ სხვა სამუშაოებზე ამ კულტურების დამუშავების საზიანოდ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ჯერ კიდევ არ გაუჩაღებიათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათანადო მუშაობა მრავალწლიანი ნარგავების გაშენების საქმეში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და ფართოდ დანერგვისათვის. სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი სრულიად არასაკმაოდ ეხმარებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოწინავე აგროტექნიკის დანერგვაში. რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მეტად შეზღუდული მოცულობით ასრულებენ მრავალწლიანი ნარგავების გაშენება-მოვლის სამუშაოებს, ზოგჯერ უხარისხოდ მუშაობენ, არღვევენ დამუშავების დაწესებულ ვადებს. მეტად დაბალია შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე ჩაის, ციტრუსების პლანტაციებში, ვენახებსა და ხეხილის ბაღებში.

მრავალწლიანი ნარგავების მოვლის გადაჭრით გაუმჯობესების, მათი მოსავლიანობის ამაღლებისა და ფართობების შემდგომი გადიდების მიზნით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს 1954 და 1955 წლებისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მრავალწლიანი ნარგავების გაშენების გეგმა შემდეგი ოდენობით: ჩაის პლანტაციები — 10 ათასი ჰექტარი, აქედან 1954 წელს 4.500 ჰექტარი და 1955 წელს 5.500 ჰექტარი, ვენახები — 7.450 ჰექტარი, აქედან 1954 წელს 3.100 ჰექტარი და 1955 წელს 4.350 ჰექტარი, ხეხილის ბაღები — 7.000 ჰექტარი, შესაბამისად 3.000 ჰექტარი და 4.000 ჰექტარი; ციტრუსოვანი ნარგავები 5.000 ჰექტარი, აქედან 1954 წელს 2.500 ჰექტარი და 1955 წელს 2.500 ჰექტარი.

დაევალოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალურად განიხილონ მრავალწლიანი ნარგავების გაშენების 1954 და 1955 წლების გეგმის საკითხი, ამასთან გაითვალისწინონ ცალკეული რაიონების თავისებურებანი.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო სამეურნეო ორგანოებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) ძირეულად გააუმჯობესონ მრავალწლიანი ნარგავების მოვლა, უზრუნველყონ ყველა აგროტექნიკური ღონისძიების დაწესებულ ვადებში და ხარისხოვნად განხორციელება;

ბ) მიიღონ საჭირო ზომები მრავალწლიანი ნარგავების ფართობების ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის, მიაღწიონ 1953 წელს ჩაისა და ციტრუსების ახალი პლანტაციების, ვენახებისა და ხეხილის ბაღების და სხვა ნარგავების გაშენების გეგმის აუცილებლად შესრულებას, აგრეთვე უზრუნველყონ შესრულება ნიადაგის მომზადების გეგმისა 1954 წლის გაზაფხულზე ახალი ნარგავების გასაშენებლად;

გ) წესრიგზე მოიყვანონ არსებული ხეხილის ბაღები, ვენახები, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციები, მიაღწიონ ნარგავების სიმეჩხრის ლიკვიდაციას, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან მათი დაღუპვა ცუდი მოვლის გამო; უზრუნველყონ 1954 წელს ჩაის, ყურძნის, ხილისა და ციტრუსოვანი კულტურების უხვი მოსავლის მიღება;

დ) მრავალწლიანი ნარგავების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უზრუნველყონ ადგილობრივი სასუქების (ნაკელის, ტორფის, წუნწუხის, კომპოსტების და სხვ.) დაგროვების მნიშვნელოვანი გადიდება. თვითეულ ფერმასთან ჰქონდეთ სპეციალურად მოწყობილი ნაკელსაცავი. მიაღწიონ მრავალწლიან ნარგავებში ადგილობრივი და მინერალური სასუქების რაციონალურად და სწორად შეტანას;

ე) ნიადაგის ნაყოფიერების გასადიდებლად ფართოდ გამოიყენონ მრავალწლიანი ნარევბალახეულისა და სიდერატების დათესვა ახალგაზრდა ხეხილის ბაღების, ციტრუსოვანთა და ტუნგოს ნარგავების მწკრივებს შორის.

დაევალოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილონ სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაისათვის ორგანული სასუქების წარმოების მოწყობის საკითხი.

3. ვენახების გაშენების 1954-1955 წლების გეგმების შესრულების უზრუნველყოფის, აგრეთვე ვენახების ფართობების შემდგომი გადიდების მიზნით დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს შეიმუშაონ ღონისძიებანი საძირე ვაზის სანერგე მეურნეობისა და სადედეების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათი ფართობების გასადიდებლად, ამასთან გაითვალისწინონ სარგავი მასალის მოთხოვნილების უზრუნველყოფა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბერლანდიერი რიპარია № 5-ბბ-ის სადედეების გაშენებას და ერთი თვის ვადაში წარუდგინონ თავიანთი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს 1953 წლის დამლევისათვის შეიმუშაონ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ ჩაის ფოთლის, ყურძნისა და ხილის დამზადებისა და გადამუშავების საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს და მტს-ების დირექტორებს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი მანქანა-ტრაქტორთა პარკის მაქსიმალური გამოყენებისათვის და უზრუნველყონ მრავალწლიანი ნარგავების ნაკვეთებზე შრომატევად სამუშაოთა შესრულების მექანიზაციის მოცულობის მკვეთრი გადიდება; მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებანი ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში, ვენახებსა და ხეხილის ბაღებში შემოდგომა-ზამთრის ყველა სამუშაოს დროულად და ხარისხოვნად შესრულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია ჩაის კრეფის მექანიზაციის საკითხის გადაჭრა და ავალებს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიიღოს საჭირო ღონისძიებანი ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანის შექმნისა და წარმოებაში დანერგვისათვის.

III.

მარცვლეული, ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების მოსავლიანობის გადიდების შესახებ

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და მტს-ებს ყველა შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ მარცვლეული, ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების უხვ მოსავალს იღებდნენ. მაგრამ მათ წარმოებაში დიდი ნაკლოვანებებია.

ხორბლისა და სიმინდის დაბალ მოსავალს იღებენ ასპინძის, ადიგენის, ხაშურის, საგარეჯოს, თეთრი წყაროს, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობები.

1952 წელს ლაგოდეხისა და გუდაუთის რაიონების კოლმეურნეობებს არ შეუსრულებიათ თამბაქოს ჩაბარების გეგმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ხაშურისა და ქარელის რაიონების კოლმეურნეობებს — შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმა, ხოლო აბაშის, ცხაკაიას და ოჩამჩირის რაიონების კოლმეურნეობები სისტემატურად არ ასრულებენ გერანისა და რეჰანის ნედლეულის ჩაბარების გეგმებს.

მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების დაბალი მოსავლის ძირითადი მიზეზია იმ სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი ხარისხი, რომლებსაც მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ასრულებენ, აგროტექნიკის საკითხების უგულებელყოფა ბევრი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მხრივ.

დაუშვებლად ჭიანურდება თავთავიანი კულტურების საშემოდგომო თესვის ვადები. ვადების დარღვევით დაითესა 1951 წელს მთელი ფართობის 41,0 პროცენტი და 1952 წელს — 36,6 პროცენტი.

საკმაოდ არ იყენებენ ისეთ პროგრესულ ხერხებს, როგორიც არის თავთავიანი კულტურების ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად თესვა. 1952 წელს საშემოდგომო ხორბლის მთელი ნათესი ფართობიდან — 436 ათასი ჰექტარიდან ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად დაითესა მხოლოდ 41 ათასი ჰექტარი. შარშან ვადის დარღვევით მოხნულ იქნა 69,8 პროცენტი ანეული, ხოლო მზრალად ხვნის გეგმა მხოლოდ 69,7 პროცენტით შესრულდა. დასავლეთ საქართველოს რაიონებში საგაზაფხულო ხვნა წარმოებს გვიან ვადებში, ჭიანურდება საგაზაფხულო კულტურების თესვა.

დიდი დაგვიანებით წარმოებს აგრეთვე ჭარხლის თესვა, თამბაქოს, გერანისა და რეჰანის რგვა და მათი შემდგომი დამუშავება. ტექნიკური კულტურებისათვის საკმაო რაოდენობით არ იყენებენ ადგილობრივ სასუქებს; ცუდად არის მოწყობილი სადეფეკაციო სასუქების შეტანა დასავლეთ საქართველოს ეწეროვან ნიადაგებში.

შემოღებული არ არის კონტროლი მტს-ების სამუშაოთა შესრულების ვადებისა და ხარისხის დაცვისადმი. მტს-ების სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხისადმი კონტროლის სახელმწიფო ინსპექტორები და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს აგრონომები მოწყვეტილი არიან მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობას და არ ასრულებენ მათთვის დაკისრებულ კონტროლის ფუნქციებს. არასწორია მოსავლიანობის დაგეგმვის პრაქტიკა, რომლის დროსაც მოწინავე კოლმეურნეობებსა და მათს მემინდვრეობის ბრიგადებს მეტისმეტად დიდ საგეგმო დავალებებს აძლევენ, რაც კოლმეურნეებსა და მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებს შესაძლებლობას ართმევს მიიღონ დამატებითი საზღაური თავიანთი უფრო ნაყოფიერი შრომისათვის.

მარცვლეული, ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების საერთო და სასაქონლო პროდუქციის შემდგომი გადიდების მიზნით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს გაუმჯობესონ მარცვლეული, ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების მოყვანა, მიაღწიონ მათი მოსავლიანობის მნიშვნელოვან გადიდებას.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების (ლობიო, მუხუდო და სხვ.) წარმოებას, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე შაქრის ჭარხლის წარმოებას.

2. თამბაქოს სარგავი ფართობი 1954 წელს დაწესდეს 13 ათასი ჰექტარი, აქედან სარწყავ მიწებზე 4 ათასი ჰექტარი, და 1955 წელს — 15 ათასი ჰექტარი, აქედან სარწყავ მიწებზე 5 ათასი ჰექტარი.

დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, თამბაქოს მომყვანი რაიონების ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ თამბაქოს ფართობების გადიდება და მოსავლიანობის ამაღლება; გააუმჯობესონ ამ კულტურის მოყვანის აგროტექნიკა. ყურადღება მიექცეს ნედლეულის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას, თვითეულ კოლმეურნეობაში უზრუნველყოფილ იქნას დახარისხება და შეფუთვა სტანდარტის სრული შესაბამისობით. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში შეკეთდეს კოლმეურნეობებში არსებული ყველა საშრობი ფარდული.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აბაშის, ცხაკაიას, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხისა და მარნეულის რაიონების საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ ეთერ-ზეთოვანი კულტურების ფართობების შემდგომი გადიდება, თვითეულ კოლმეურნეობაში აგროტექნიკური ღონისძიებათა კომპლექსის ხარისხოვნად შესრულება.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს:

ა) სიმინდის წარმოების გასადიდებლად ფართოდ გამოიყენონ თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ხარჯვის მნიშვნელოვან შემცირებას, მწკრივთა შორის დამუშავების მექანიზაციას და ამით მოსავლიანობის გადიდებას; გადაჭრით გადავიდნენ სიმინდის ჰიბრიდული თესლის თესვაზე;

ბ) ფართოდ გამოიყენონ მზესუმზირას და სოიის თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი, აგრეთვე ნათესების მექანიზებული დამუშავება, მოაწყონ მზესუმზირას აღების მაქსიმალური მექანიზაცია;

გ) უზრუნველყოფილ იქნას 1953 წელს კოლმეურნეობებში 180 ათასი ჰექტარი ფართობის მზრალად მოხვნა და საშემოდგომო ანეულის ხვნის გეგმის უთუოდ შესრულება, ხოლო დასავლეთ საქართველოს რაიონებში ზამთარში და ადრე გაზაფხულზე ფართობების მოხვნა მომავალი წლის მთელი საგაზაფხულო ნათესისათვის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგინოს ღონისძიებანი კოლმეურნეობებში სწორი თესლბრუნვების შემოსაღებად იმ ვარაუდით, რომ თესლბრუნვის სწორ სისტემაზე გადასვლა დამთავრდეს 1955 წლის დამლევისათვის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს გააუმჯობესონ მუშაობა კაპიტალური წყალსამეურნეო მშენებლობის დარგში, მაქსიმალურად გამოიყენონ მიწისსათხრელი მექანიზმებისა და ტრანსპორტის არსებული პარკი, რათა უზრუნველყონ 12.000 ჰექტარი ახალი სარწყავი ფართობების, 4.200 ჰექტარი ამოშრობილი ფართობების, 1.600 ჰექტარი რეკონსტრუირებული ფართობების ათვისების 1953 წლის გეგმის უთუოდ შესრულება, მიმდინარე წელს მთლიანად დაამთავრონ გადასვლა რწყვის ახალ სისტემაზე და უზრუნველყონ წყალსამეურნეო სამუშაოებში შრომითი მონაწილეობის გეგმის უთუოდ შესრულება.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეიმუშაონ ღონისძიებანი კოლხიდის დაბლობის ამოშრობილი მიწების მაქსიმალური ათვისებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის გამოყენების დარგში და წარუდგინონ თავიანთი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

IV.

კოლმეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდებისა და დამზადების შესახებ

კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანის დარგში მოწინავე კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მუშაობის პრაქტიკამ, მოწინავე გამოცდილების დანერგვამ და ტექნიკის ფართოდ გამოყენებამ ცხადყო მათი მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდებისა და ამავე დროს სამუშაოთა შრომატევადობის შემცირების შესაძლებლობა. მაგრამ მოწინავეთა მიღწევები სუსტად ინერგება წარმოებაში.

არ სრულდება კარტოფილისა და ბოსტნეულის თესვისა და მოსავლიანობის გეგმები. ბევრ კოლმეურნეობაში კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების რგვა ხდება დიდი დაგვიანებით, არ სრულდება მზრალად ხვნის გეგმები. კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესების მწკრივთა შორის დამუშავება ცუდად არის მოწყობილი. მოსავლის აღება ხდება დაგვიანებით და დანაკარგებით. სუსტად არის განვითარებული სათბურ-კვალსათბურის მეურნეობა, რის გამო ძალიან მცირედ მოჰყავთ ბოსტნეული ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში და საკმაო რაოდენობით არ გამოჰყავთ ბოსტნეული კულტურების ჩითილი.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებას. კოლმეურნეობებში მტს-ების ძალებით კარტოფილის რგვა 1952 წელს მხოლოდ 3 პროცენტით შესრულდა.

კოლმეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის სერიოზული ჩამორჩენა აიხსნება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთელი რიგი წლების მანძილზე არ დაუყენებიათ და არ გადაუწყვეტიათ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების ისეთი ძირეული საკითხები, როგორიც არის კარტოფილისა და ბოსტნეულის თესვის, რგვისა და დამუშავების მექანიზაცია, მათი მოყვანის აგროტექნიკის გაუმჯობესება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები არ იღებენ საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რომ წარმოებაში დანერგონ კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის ახალი პროგრესული წესები და ხერხები და, უწინარეს ყოვლისა, ამ კულტურათა რგვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი, აგრეთვე ტორფნეშომპალიან და ნაკელმიწიან ქოთნებში ბოსტნეულის ჩითილის გამოყვანის წესი. უფრო მეტიც, ამ ღონისძიებას ისინი გულგრილად ეკიდებიან, რის გამო რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ამ კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი რგვა მთლიანად ჩაშლილია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში მთავარ ამოცანად მიაჩნია ამ კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი ამაღლება და მათი ფართობის გადიდება მექანიზაციის ფართოდ დანერგვისა და კარტოფილის და ბოსტნეულის მოყვანის მოწინავე აგროწესების გამოყენების საფუძველზე. ამოცანა ის არის, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში მკვეთრად გავადიდოთ ამ კულტურების მოსავლიანობა და მივაღწიოთ იმას, რომ რესპუბლიკის ქალაქები, სამრეწველო ცენტრები და კურორტები მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად მარაგდებოდნენ ახალი ბოსტნეულითა და კარტოფილით, აგრეთვე დავაკმაყოფილოთ საკონსერვო მრეწველობის საჭიროება ნედლეულის მხრივ.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

(გაგრძელება)

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების შემდგომი გადიდების მიზნით აყვანილ იქნას 1954 წელს კარტოფილის ფართობი 22 ათას ჰექტარამდე და 1955 წელს 25 ათას ჰექტარამდე, ხოლო ბოსტნეული კულტურებისა შესაბამისად 12 ათას ჰექტარამდე და 13 ათას ჰექტარამდე.

უზრუნველყოფილ იქნას კარტოფილის დარგვა სარწყავ მიწებზე კოლმეურნეობებში 3 ათას ჰექტარ ფართობზე და ბოსტნეული კულტურებისა 9 ათას ჰექტარ ფართობზე.

2. დაწესდეს 1954 წლისათვის დავალება კოლმეურნეობებში მოსავლიანობის დარგში ჰექტარზე სულ ცოტა: კარტოფილი — 125 ცენტნერი, კომბოსტო — 145 ცენტნერი, კიტრი — 100 ცენტნერი, პამიდორი — 130 ცენტნერი, ხახვი — 85 ცენტნერი, სტაფილო — 90 ცენტნერი, სუფრის ჭარხალი — 165 ცენტნერი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, კარტოფილისა და ბოსტნეულის მომყვანი რაიონების ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებსა და მტს-ებს:

ა) განალაგონ კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესები საუკეთესო ნაყოფიერ მიწებზე, რომლებზეც შესაძლებელია რგვისა და დამუშავების მექანიზაციის ფართოდ განხორციელება;

ბ) გააფართოონ კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების ნათესები, სარწყავ მიწებზე და უზრუნველყონ წყლის მთელი რესურსების მაქსიმალურად გამოყენება;

გ) ფართოდ დანერგონ კარტოფილის რგვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი და კარტოფილის ნათესების მოვლისა და მოსავლის აღების სამუშაოთა მაქსიმალური მექანიზაცია. იმის გათვალისწინებით, რომ 1954 წელს კარტოფილის სარგავი მანქანები ჯერ კიდევ ვერ იკმარებს მთელ ფართობზე მანქანური რგვის განსახორციელებლად, ფართოდ გამოყენებულ იქნას კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივ რგვაზე გუთნები, კულტივატორები და სხვა იარაღები;

დ) უზრუნველყონ 1954 წლიდან ბოსტნეული კულტურების რგვის კვადრატულ-ბუდობრივი წესის ფართოდ დანერგვა, რაც იძლევა ორი მიმართულებით მათი დამუშავების მექანიზაციის შესაძლებლობას;

ე) მნიშვნელოვნად გაადიდონ სასუქების, განსაკუთრებით ნაკელის, ნაცრის, კომპოსტებისა და სხვა ადგილობრივი სასუქების გამოყენება ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილისათვის და უზრუნველყონ ამ კულტურების რგვა მხოლოდდამხოლოდ ღრმად მოხნულ მზრალში;

ვ) შეისწავლონ წალკის რაიონში კარტოფილის ფართობების მორწყვის საკითხი და თავიანთი წინადადებანი გასახილველად წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

4. უზრუნველყოფილ იქნას წარმოებაში დანერგვა ბოსტნეული კულტურების ჩითილის გამოყვანისა ნაკელმიწიან და ტორფნეშომპალიან ქოთნებში, რაც ადიდებს მოსავლიანობას, აგრეთვე უზრუნველყოფს ბოსტნეულის ადრე მომწიფებას.

დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მიიღოს ტორფნეშომპალიანი ქოთნების დასამზადებელი მანქანების ნიმუშები, უზრუნველყოს მათი საჭირო რაოდენობით დამზადება კოლმეურნეობათა უზრუნველსაყოფად; მისცეს რაიონებს ნაკელმიწიანი და ტორფნეშომპალიანი ქოთნების დამზადების დავალება.

5. დაევალოს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ფართოდ განუმარტონ კოლმეურნეებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებანი „1953 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმისა და ამ პროდუქტების დასამზადებელი ფასების გადიდების შესახებ“ და „კარტოფილისა და ბოსტნეულის საკოლმეურნეო ვაჭრობის გაჩაღების შესახებ“, რომელთა მიზანია კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მატერიალური დაინტერესების გაძლიერება.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ კოლმეურნეობებში სათბურებისა და კვალსათბურების მშენებლობის იმ დავალებათა შესრულება, რომლებიც გათვალისწინებულია 1953 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით.

მოეწყოს 1954 წელს კოლმეურნეობებში 57 ათასი ცალი სათბურის ჩარჩო და 3,5 ათასი კვადრატული მეტრი კვალსათბური, 1955 წელს 65 ათასი ცალი სათბურის ჩარჩო და 4,2 ათასი კვადრატული მეტრი კვალსათბური. გაკეთდეს კოლმეურნეობებში 1954 წელს 12 ათასი ცალი სათბურის ჩარჩო, აქედან მოეწყოს იმავე წელს 10 ათასი ცალი, და 1 ათასი კვადრატული მეტრი კვალსათბური, ხოლო 1955 წელს 11 ათასი ცალი სათბურის ჩარჩო და 1,5 ათასი კვადრატული მეტრი კვალსათბური.

გათვალისწინებულ იქნას ორთქლით, წყლითა და ელექტრობით გასათბობი სათბურებისა და კვალსათბურების ფართოდ დანერგვა, ამასთან მათი გათბობისათვის გამოყენებულ იქნას სამრეწველო საწარმოთა ნარჩენი სითბო.

რჩევა მიეცეს სამრეწველო საწარმოებს შეფობის წესით გაუწიონ დახმარება კოლმეურნეობებს სათბურებისა და კვალსათბურების მშენებლობაში კოლმეურნეობათა სახსრებით. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ყოველწლიურად გაითვალისწინოს სახალხო-სამეურნეო გეგმებში სათბურებისა და კვალსათბურების მშენებლობისათვის საჭირო მასალებისა და დეტალების ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში დამზადება და კოლმეურნეობებისათვის მიყიდვა, აგრეთვე სათბურებისა და კვალსათბურების სათბობით უზრუნველყოფა.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ 1953 წლის მოსავლით დაწყებული, კოლმეურნეობებმა უზრუნველყონ თავი კარტოფილის საკუთარი კეთილხარისხოვანი თესლით სრული საჭიროების ოდენობით, ამასთან არ დაუშვან თესვის ნორმების შემცირება. კოლმეურნეობამ კარტოფილის სათესლე ფონდები უნდა შეინახოს მასობრივი აღების დაწყებიდან.

განემარტოს კოლმეურნეობებს, რომ სასუქები კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესებისათვის 1953 და 1954 წლებში კოლმეურნეობებს ეძლევათ კრედიტის წესით, რაც შემდეგში ნატურით უნდა იქნას ანაზღაურებული მომდინარე წლის მოსავლის კარტოფილით ან ერთ-ერთი ბოსტნეული კულტურით. დაევალოს „სელხოზავტოტრანსს“ და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს სახელმწიფო საწყობებიდან მინერალური სასუქების გამოტანა, ხოლო მტს-ებსა და კოლმეურნეობებს — მათი სწორად შეტანა მინდვრებში.

8. დაევალოს პარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებისა და მტს-ების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს გადაჭრით გაუმჯობესონ ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების განვითარების საქმისადმი ხელმძღვანელობა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ კულტურების მოყვანის მოწინავე მეთოდების შესწავლასა და დანერგვას.

საჭიროდ ჩაითვალოს კოლმეურნეობებში მებოსტნეობის ბრიგადების განმტკიცება გამოცდილი კოლმეურნეებით, მოეწყოს მუშაობა იმისათვის, რომ კოლმეურნეებს, მტს-ების მუშაკებს შეასწავლონ ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის მოყვანაში შრომის მოწინავე ხერხები. კურსების, რადიოს, კინოსა და პრესის საშუალებით, აგრეთვე სპეციალური ლექციებისა და საუბრების მოწყობის გზით ყველა კოლმეურნეს, მტს-ების მუშაკებს შეასწავლონ კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის თანამედროვე ტექნიკა და აგროტექნიკა.

V.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში მათი როლის გაძლიერების შესახებ

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა დიდი რაოდენობით მიიღეს ახალი თანამედროვე ტექნიკა, რამაც შესაძლებელი გახადა ბევრი შრომატევადი სამუშაოს მექანიზება, კოლმეურნეთა შრომის შემსუბუქება და მისი ნაყოფიერების მნიშვნელოვნად გადიდება.

ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ მტს-ების მანქანა-ტრაქტორთა პარკი სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული. მექანიზაციის დონე 1952 წელს შეადგენდა კომბაინებით მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებაში 55,7 პროცენტს, ხვნაში — 67,7 პროცენტს, თესვაში — 44,6 პროცენტს, სათოხნი კულტურების კულტივაციაში — 11,0 პროცენტს. ხშირია ტრაქტორებისა და მანქანების მოცდენა ტექნიკური და სხვა მიზეზებით. ბევრი მტს-ი არ ასრულებს კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ცალკეულ სახეთა სამუშაოები სრულდება აგროტექნიკური ვადების დარღვევით, უხარისხოდ.

ყველა მტს-ი როდია უზრუნველყოფილი ტრაქტორისტთა, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირთა, მემანქანეთა და სხვა სპეციალობების მუშათა კვალიფიციური კადრებით ორ ცვლად მუშაობისათვის.

მტს-ების მექანიზატორთა კადრებს შორის ადგილი აქვს დიდ დენადობას.

მტს-ებისათვის კადრების მომზადების არსებულ სისტემას სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. მექანიზაციის ოთხი სკოლა, რომლებიც რესპუბლიკაში არსებობს, ვერ უზრუნველყოფს მექანიზატორთა კადრების მომზადებას საჭირო რაოდენობით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო, მთელი რიგი რაიონების ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მტს-ების ხელმძღვანელი კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში, არ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს იმისათვის, რომ მტს-ების დასახმარებლად მოიზიდონ კადრები მრეწველობიდან და სამეცნიერო დაწესებულებებიდან. ამჟამად ლენინგორის, ბარალეთის, განძისა და წალკის მტს-ებში არ არის არც ერთი მექანიკოსი უმაღლესი განათლებით.

მეტ წილ მტს-ებში ცუდად არის დაყენებული ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისა და შენახვის საქმე. ქსუისის, ქობულეთის, გულრიფშისა და სხვა მტს-ებში არ არის სარემონტო სახელოსნოები, ზოგიერთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურს არა აქვს საჭირო მოწყობილობა, გარაჟები და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახი ფარდულები, ამის გამო ცალკეულ მტს-ებში მანქანები და იარაღები ფუჭდება.

მტს-ების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი. „გლავმაშსბიტის“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო საკმაო რაოდენობით და თავის დროზე ვერ უზრუნველყოფენ მტს-ებს სათადარიგო ნაწილებით, ინსტრუმენტებით, ნავთობტარით, ლითონითა და სხვა მასალებით, რაც იწვევს სერიოზულ შეფერხებებს მანქანა-ტრაქტორთა პარკის მუშაობაში.

მტს-ების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის მექანიზაციაში მათი როლის გაძლიერების მიზნით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების აღჭურვისათვის საჭირო მანქანებით, იარაღებით, ინვენტარით, აგრეთვე დამხმარე მეურნეობით. მიღწეულ იქნას მტს-ებში არსებული ტექნიკის სრულად გამოყენება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ სამუშაოთა მოცულობის გადიდებას, რომლებსაც მტს-ები ეწევიან მრავალწლიანი ნარგავების, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების დასამუშავებლად. მტს-ებმა უნდა დაამთავროს სამუშაოთა მექანიზაცია მემინდვრეობაში, ფართოდ გააჩაღონ შრომატევადი პროცესების მექანიზაცია მეცხოველეობაში, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში, დანერგონ საკოლმეურნეო წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები, უზრუნველყონ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება, პროდუქტების სიუხვის შექმნა და ამ საფუძველზე კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ უახლოეს ხანში ყველა მტს-ის დაკომპლექტება მუდმივი მუშებით და მოაწყონ ტრაქტორისტთა და სატრაქტორო ბრიგადების სხვა მუდმივ მუშათა სწორად გამოყენება მთელი წლის განმავლობაში. ამ მიზნით ფართოდ დანერგონ ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, მემანქანეთა და სხვა მუდმივ მუშათა პროფესიების შეთავსება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთაგან თავისუფალ დროს გამოიყენონ სატრაქტორო ბრიგადების მუდმივი მუშები სამუშაოდ სარემონტო სახელოსნოებში, მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის სამონტაჟო ბრიგადებში, მშენებლობაში და სხვა სამუშაოებზე.

დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მომამზადოს წინადადებანი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლების დამატებით დაარსების შესახებ.

3. აღინიშნოს, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში შეიქმნა სერიოზული შეუფარდებლობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მათი აღჭურვის დონესა და მისი რემონტისა და შენახვისათვის საჭირო საწარმოო-ტექნიკურ ბაზას შორის.

დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და რაიაღმასკომებს უზრუნველყონ 8 სახელოსნოს, 10 ფარდულის, 1.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის მშენებლობის დამთავრება და საექსპლოატაციოდ გადაცემა და დაიწყონ 3 ახალი სახელოსნოსა და მტს-ის მშენებლობა, რომლებიც გათვალისწინებულია მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით, აგრეთვე მოაწყონ მოძრავი ვაგონეტები სატრაქტორო ბრიგადებისათვის.

რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს 1954-1955 წლების განმავლობაში ააშენონ საველე ბანაკებში საერთო საცხოვრებლები, ფარდულები მანქანების შენახვისა და ტექნიკური მოვლისათვის, საველე სამზარეულოები და მუდმივი ნავთობსაცავები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და „გლავმაშსბიტის“ საქართველოს კანტორას გააუმჯობესონ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების შემოტანა, მიაღწიონ მტს-ების შეუფერხებლად მომარაგებას საჭირო სათადარიგო ნაწილებით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მანქანებისა და ტრაქტორების გამოყენებას, მათი მოვლის გაუმჯობესებას, მანქანებისა და ტრაქტორების გამომუშავების გადიდებას.

საჭიროა გაუმჯობესდეს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის ორგანიზაცია, დაინერგოს მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის კვანძური მეთოდი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სარემონტო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას და თვითღირებულების შემცირებას. მიღწეულ იქნას, რომ თვითეული მანქანა-ტრაქტორთა სადგურისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაობაში დაინერგოს ტექნიკის გამოყენების მოწინავე მეთოდები და უწინარეს ყოვლისა საათობრივი გრაფიკი, სტახანოვური მარშრუტები, უზრუნველყოფილ იქნას, რომ თვითეული ტრაქტორისტი, კომბაინერი და მემანქანე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მთელი პერიოდის განმავლობაში მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს ცვლისა და დღიურ ნორმებს.

6. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს სერიოზულ ნაკლოვანებებს რესპუბლიკის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაციის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ელექტროენერგიის დანერგვის საქმეში.

პლენუმი ავალებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, საქართველოს ტრესტ „სოფლელექტროს“, რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ ახალი ელექტროსადგურების მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დაწესებული გეგმების შესრულება და მოაწყონ არსებული ელექტროსადგურების სიმძლავრეთა სრული გამოყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოების შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის ელექტროენერგიის ფართოდ დანერგვის გზით.

VI.

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი დიდი და რთული ამოცანები მოითხოვენ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესებას, რომ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა ავამაღლოთ სოფლად პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე, დავრაზმოთ კომუნისტების, კომკავშირელების, ყველა კოლმეურნის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების შემოქმედებითი აქტივობა და ავამოძრაოთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მთელი ძალები და საშუალებები. საჭიროა გავაძლიეროთ ხელმძღვანელი მუშაკების პასუხისმგებლობა თვითეულ კოლმეურნეობაში, მტს-ში, საბჭოთა მეურნეობაში, თვითეულ რაიონში საქმის მდგომარეობისათვის.

ამ მითითების საფუძველზე პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან გარდაქმნან თავიანთი მუშაობა და გააუმჯობესონ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა; ბეჯითად იმუშაონ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისა და მათი საზოგადოებრივი სამდიდრის გადიდებისათვის; მიიღონ ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ უახლოეს ხანში აღარ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა, მტს-ი და რაიონი.

2. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშ დარღვევებს, საზოგადოებრივი მიწების, ქონების, პირუტყვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ფულადი სახსრების, შრომადღეების განაივებას და სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმეთა მართვის დემოკრატიული საფუძვლების დარღვევებს.

ბევრ კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინა დაბალ დონეზეა, კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ აქტიურად არ არის ჩაბმული საკოლმეურნეო წარმოებაში და არ ასრულებს შრომადღეების დაწესებულ მინიმუმს, საწარმოო ბრიგადებს მუდმივი შემადგენლობა არა ჰყავთ და მიჩენილი არა აქვთ წარმოების საშუალებები, რაც იწვევს გაუპიროვნებას.

შრომისა და მიღებული პროდუქციის აღრიცხვის მოუწესრიგებლობის შედეგად ბევრ კოლმეურნეობაში სრულიად არასაკმაოდ ხორციელდება პარტიისა და მთავრობის დადგენილება კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის სტიმულირების შესახებ, რაც ამცირებს შრომის ნაყოფიერებას.

დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ სისტემატური კონტროლი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უაღრესად ზუსტად დაცვისადმი, არ დაუშვან საზოგადოებრივი მიწებისა და საკოლმეურნეო დოვლათის განაივების ფაქტები, მიიღონ ღონისძიებანი კოლმეურნეობებში საქმის უყაირათოდ გაძღოლის აღმოფხვრისათვის, ყოველმხრივ განამტკიცონ და განავითარონ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა. უზრუნველყონ, რომ კოლმეურნეობებს დაუბრუნდეს უკანონოდ წაღებული და დატაცებული მიწები, პროდუქტები, ქონება და ფულადი სახსრები, ლიკვიდირებულ იქნას დებიტორული დავალიანება, აგრეთვე საბოლოო ანგარიში გაუსწორდეთ კოლმეურნეებს და მიღწეულ იქნას ყველა კოლმეურნის აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში.

3. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდა და მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების წარმოებაში დანერგვა ჯერ კიდევ არ გამხდარა შემადგენელი ნაწილი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობისა.

მუშაობის ახალი ხერხები და მეთოდები, მოწინავეთა მიღწევები მეტად ნელა და გაუბედავად ინერგება სოფლის მეურნეობაში, რაც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის წარმატებით განვითარებას და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას.

დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს:

ა) ბოლო მოუღონ სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის საქმის შეუფასებლობას, მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ წარმოებაში წარმატებით დაინერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება;

ბ) გააუმჯობესონ 3-წლიანი აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობა, მიაღწიონ იმას, რომ კურსების მსმენელები დაეუფლონ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მუშაობის პრაქტიკასა და ჩვევებს;

გ) სისტემატურად მოაწყონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, ბრიგადირთა, მეცხოველეობის მუშაკთა სემინარები მუშაობის ახალი მოწინავე აგროტექნიკური და ზოოტექნიკური ხერხების შესასწავლად.

დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს გააუმჯობესონ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების და მოწინავე პრაქტიკის მიღწევების შესახებ მასობრივი ლიტერატურის, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისა და კურსებისათვის სახელმძღვანელოებისა და თვალსაჩინო ხელსაწყოების გამოცემა, მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ებისადმი, სოფლის მეურნეობის ნოვატორებისადმი მიძღვნილი პლაკატებისა და ფურცლების გამოშვება, მოაწყონ სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერულ-პოპულარული კინოფილმების გამოშვება.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უფრო ფართოდ გააჩაღონ კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკებს, კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს, საცდელ სადგურებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს შორის შეჯიბრება იმისათვის, რომ მოიპოვონ უფლება მონაწილეობა მიიღონ მუდმივმოქმედ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში, რომელიც 1954 წელს გაიხსნება მოსკოვში.

შემოღებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო გამოფენების ყოველწლიურად მოწყობა ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქსა და რაიონებში, რესპუბლიკური სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობა ქ. თბილისში.

5. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს ნაკლოვანებებს საქართველოს სსრ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და ინსტიტუტების მუშაობაში, რასაც ისინი ეწევიან იმისათვის, რომ უშუალო პრაქტიკული დახმარება გაუწიონ რესპუბლიკის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებს სოფლის მეურნეობის აღმავლობაში.

დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და ინსტიტუტებს, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს გააძლიერონ სამეცნიერო დაწესებულებათა როლი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის მისაღწევად კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევაში.

6. დაევალოს სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დახმარება გაუწიონ

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

(დასასრული)

კოლმეურნეობებს საბავშვო ბაღების, ბაგებისა და სამშობიაროს სახლების მშენებლობაში, რათა შეუქმნან კოლმეურნე ქალებს პირობები საკოლმეურნეო წარმოებაში წარმატებით მუშაობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო აქტიური მონაწილეობისათვის.

იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც აქვთ ეკონომიური შესაძლებლობა კლუბებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობისათვის, დახმარება უნდა გაეწიოთ ამ შენობათა აგებაში.

7. დაევალოს პარტიულ ორგანიზაციებს აამაღლონ სოფლად მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დონე, გააძლიერონ ზრუნვა სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის, ეს მუშაობა აწარმოონ ისე, რომ დააკმაყოფილონ კოლმეურნეთა და მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა გაზრდილი კულტურული მოთხოვნილებანი. საჭიროა გაძლიერდეს კლუბებისა და ბიბლიოთეკების, კინოსა და რადიოს მუშაობა, უზრუნველყოფილ იქნას გაზეთებისა და ჟურნალების სწორი გამოყენება.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და პარტიის რაიკომებმა უნდა უზრუნველყონ კინოფილმების ჩვენება უკლებლივ ყველა კოლმეურნეობაში, მტს-ში, კოლმეურნეობათა იმ ბრიგადებში და საბჭოთა მეურნეობების იმ განყოფილებებში, რომლებიც დაშორებული არიან სამეურნეო ცენტრებს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა დააწესონ კონტროლი სოფლად სამკურნალო და საბავშვო დაწესებულებათა მუშაობისადმი, სავაჭრო, კოოპერაციული ორგანიზაციების საქმიანობისადმი და უზრუნველყონ შეუფერხებელი ვაჭრობა სახალხო მოხმარების ყველა აუცილებელი საქონლით.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საკითხი რესპუბლიკის ქალაქებში საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობის შესახებ.

8. საჭიროდ იქნას ცნობილი სამრეწველო საწარმოების მხრივ კოლმეურნეობებისა და მტს-ებისადმი შეფობის განხორციელება.

შეფობა კონკრეტულ ხასიათს უნდა ატარებდეს, ეხმარებოდეს კოლმეურნეობებსა და მტს-ებს როგორც მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესებაში, ისე სათბურებისა და კვალსაბუერების შენებლობაში და ზოგიერთი სამეურნეო საკითხის გადაწყვეტაში, კოლმეურნეობებისა და მტს-ების სახსრებით.

VII.

სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს მასებში პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერებას.

ამასთანავე ამჟამად სოფლად პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში დიდი ნაკლოვანებებია. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ბევრ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ში წარმოებს დაბალ დონეზე, ცუდად არის დაყენებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მშრომელთა პოლიტიკურ აღზრდას.

პარტიული კომიტეტებისა და საბჭოთა ორგანოების მუშაობის მდგომარეობა ამჟამად არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის აღმავლობის ახალ მოთხოვნებს. პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, რომელთაგან ბევრი საკმაო გავლენას ვერ იხდენს კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში საქმის მდგომარეობაზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამის განხორციელების მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ძირეულად გაუმჯობესდება სოფლად პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა და ამაღლდება მისი დონე.

იმ პირობების მაქსიმალური გამოყენებისათვის, რომლებსაც პარტია და საბჭოთა მთავრობა ქმნიან სოფლის მეურნეობის აღმავლობის მისაღწევად, საჭიროა ავამოძრაოთ ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის მთელი ძალები და საშუალებები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს კომუნისტური პარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების პარტიულ ორგანიზაციებს უზრუნველყონ, რომ ყველა კოლმეურნეს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა მუშას გულდასმით განემარტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება, და ამ საფუძველზე ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი განვითარების, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების, მექანიზაციისა და შრომის მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვის, დამზადების გეგმების დროულად შესრულების, კოლმეურნეობათა შემოსავლის გადიდების და კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის.

2. დაევალოს საქართველოს კომუნისტური პარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს ახალი მოთხოვნების შესაბამისად ძირეულად გარდაქმნან სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა. სწორად შეარჩიონ და გაანაწილონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ხელმძღვანელი მუშაკები; ისე მოაწყონ პარტიული კომიტეტების აპარატის მუშაობა, რომ ბოლო მოუღონ გაუპიროვნებასა და უპასუხისმგებლობას კოლმეურნეობებისადმი, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისადმი ხელმძღვანელობაში, კონკრეტული და ოპერატიული გახადონ ეს ხელმძღვანელობა, ხელი აიღონ კოლმეურნეობებისათვის სხვადასხვა დროებითი რწმუნებულების მომაგრებაზე.

3. პლენუმი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსაგან მოითხოვს განამტკიცოს პარტიის სასოფლო რაიკომები და რაიაღმასკომები სოფლის მეურნეობის მცოდნე გამოცდილი მუშაკებით, გულდასმით დაიცვას კადრების შერჩევის პარტიული პრინციპი და არ დაუშვას რაიონულ ხელმძღვანელთა ხშირი და დაუსაბუთებელი შეცვლა.

4. დაევალოს საქართველოს კომპარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცებისათვის, სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში მათი როლის გაძლიერებისათვის. ყოველნაირად განავითარონ მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა, ყურადღებით მოეკიდონ სოფლის მეურნეობის მშრომელთა ხმას.

პარტიული მუშაკები უფრო ხშირად უნდა მიდიოდნენ კოლმეურნეობებსა და მტს-ებში, მუდმივი კავშირი ჰქონდეთ კოლმეურნეობების თავმჯდომარეებთან, ბრიგადირებთან, ფერმების გამგეებთან და აგრონომებთან, არ უნდა სჯერდებოდნენ საქმის მდგომარეობის ზერელედ გაცნობას, არამედ ყოველმხრივ სწავლობდნენ მრავალდარგოვან საკოლმეურნეო მეურნეობას, ეხმარებოდნენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში, ყოველი ღონისძიებით ავითარებდნენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას და იღებდნენ ქმედითს ზომებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დაევალოს პარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს გააძლიერონ ხელმძღვანელობა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი სოფლად, დროულად უწევდნენ მათ დახმარებას, უზრუნველყონ კომუნისტების სწორად განაწილება პარტიული მუშაობის გადამწყვეტ უბნებზე, სისტემატურად აამაღლონ მათი იდეურ-პოლიტიკური დონე და ცდილობდნენ მიაღწიონ იმას, რომ ისინი გახდნენ მასების ნამდვილი ორგანიზატორები კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მითითებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

იმასთან დაკავშირებით, რომ მტს-ებში გაუქმდა თანამდებობა დირექტორის მოადგილისა პოლიტიკურ ნაწილში და დაწესდა პარტორგანიზაციათა განთავისუფლებული მდივნების თანამდებობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მათს შერჩევას. უზრუნველყოფილ იქნას მტს-ების პარტორგანიზაციების მდივნებად გამოცდილი ამხანაგების დაწინაურება, რომლებსაც უნარი შესწევთ გაუძღვნენ საქმეს ახალი გაზრდილი მოთხოვნების დონეზე.

5. დაევალოს საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების პარტიულ ორგანიზაციებს გააძლიერონ კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, ფართოდ ჩააბან კომკავშირელები, ახალგაზრდობა სოფლის მეურნეობის განვითარების პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტაში. საჭიროა კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღება წარიმართოს იქითკენ, რომ ისინი დაეუფლონ მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლეს მიღწევებს, აღზარდონ სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავენი.

პარტიული ორგანოები ვალდებული არიან ჩაუერგონ კომკავშირელებს შეურიგებლობა კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ნაკლოვანებისადმი და უზრუნველყონ, რომ გაძლიერდეს კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივა ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის საკითხების დაყენებაში პარტიული ორგანიზაციების წინაშე.

7. დაევალოს რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს ფართოდ გააშუქონ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, საკოლმეურნეო მშენებლობის მოწინავე გამოცდილება და პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის პრაქტიკა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დარგში, იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

* * *

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს ყველა კოლმეურნე, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ყველა კომუნისტი და კომკავშირელი მიიღებენ ყველა ღონისძიებას და მიაღწევენ იმას, რომ უთუოდ შესრულდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა, პროდუქტების სიუხვის შექმნა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება.

დარბაზობა გულგარელი მსახიობების პატივსაცემად სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში

28 ოქტომბერს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში გაიმართა დარბაზობა ბულგარეთის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის (ქალაქი სოფია) მსახიობთა პატივსაცემად, რომელთა გამოსვლები მოსკოვში დამთავრდა 27 ოქტომბერს სსრ კავშირის დიდ თეატრში გამართული კონცერტით.

დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. კ. პონომარენკო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილეები ი. გ. ბოლშაკოვი, ნ. ნ. ბესპალოვი, საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლნი, ხელოვნების მოღვაწენი.

ბულგარეთის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული მოსკოვში ვ. ველკოვი, ბულგარეთის საელჩოს წევრები, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ვასევი და ბულგარეთის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი.

დარბაზობის დროს გაიმართა კონცერტი ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის ხელოვნების ოსტატთა ძალებით.

დარბაზობამ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 39, 40 და 41 მუხლების საფუძველზე დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ქ. თბილისის სტალინის № 11 საარჩევნო ოლქში

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ჯავახიშვილი ვახტანგ შალვას-ძე** — ქ. თბილისის სტალინის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **სიხარულიძე გიორგი ვასილის-ძე** — ქ. თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ციციშვილი თამარ იოსების ასული** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითი მუშაკების, მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

პოლუხინი არქიპო ივანეს-ძე — ადგილობრივი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის ორგანიზაციისაგან;

სააკიანი რანუშ იოსების ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის სტალინის რაიონის ორგანიზაციისაგან;

მგალობლიშვილი ვახტანგ გრიგოლის-ძე — წითელი ჯვრის საზოგადოების ქალაქის მეორე საავადმყოფოს პირველადი ორგანიზაციისაგან;

სუხიაშვილი ქეთევან დიმიტრის ასული — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს პირველადი ორგანიზაციისაგან;

ხუციშვილი შალვა ილიას-ძე — ქ. თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საერთო კრებისაგან;

კასრაძე ნინო დიმიტრის ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ქალთა მეთორმეტე საშუალო სკოლის ორგანიზაციისაგან.

ქ. თბილისის გარეუბნის კოჯრის № 58 საარჩევნო ოლქში

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **მირიანაშვილი ილია ვლადიმერის-ძე** — ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **სიხარულიძე კვიროსი იასონის-ძე** — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის ორგანიზაციისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **კაჭახიძე გიორგი ფილიპეს-ძე** — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის ორგანიზაციისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

მიგრიაული ალექსანდრე ისაკის-ძე — ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის სოფ. სოღანლუღის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებისაგან;

დევრისაშვილი თამარ ალექსანდრეს ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის ორგანიზაციისაგან;

პაპაშვილი ეთერ პავლეს ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის ორგანიზაციისაგან;

გედევანიძე სირან ბეგლარის ასული — ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის ტაბახმელის ბიოკომბინატის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებისაგან;

კანდელაკი მარიამ ზაქარიას ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის ორგანიზაციისაგან;

კახელაშვილი გიორგი ალექსის-ძე — ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის თელეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

გერმანელ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაცია საბჭოთა კავშირიდან

ბერლინი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის მიმდინარე წლის აგვისტოში მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკების დროს მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, ამ უკანასკნელ ხანს ბერლინს ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირიდან რეპატრიირებული გერმანელი სამხედრო ტყვეები, რომლებიც განთავისუფლებული არიან იმ დანაშაულისათვის სასჯელის შემდგომი მოზდისაგან, რაც მათ ომის დროს ჩაიდინეს. სულ ჩამოვიდა 5.374 ჯარისკაცი და ოფიცერი. რეპატრიირებულთა შორის რამდენიმე გენერალი.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის შერეული კომისიის პირველი სხდომა

ბერლინი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). ადნ-ის საუგენტის ცნობით, გუშინ გაიმართა პირველი სხდომა საბჭოთა კავშირ-გერმანიის შერეული კომისიისა, რომელიც შექმნილია „გერმანიის რეპარაციების გადახდევინების შეწყვეტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იმ ფინანსურ-ეკონომიური ვალდებულებების შესუბუქების სხვა ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ომის შედეგებთან“ მოსკოვის 1953 წლის 22 აგვისტოს ოქმის მეორე კარის შესაბამისად.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის შერეული კომისიის წევრებად დანიშნული არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ — ფრიც ზელბმანი (ხელმძღვანელი), პაულ ტრასენბერგერი, ვილი რუმპფი; სსრ კავშირის მთავრობის მიერ — ი. ფ. სემიჩასტნოვი (ხელმძღვანელი), ს. პ. ტროფიმოვი, ნ. ლ. ბიბენინი.

კომისიამ პირველ სხდომაზე განიხილა მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები, დასახა 1954 წლის 1 იანვრიდან საწარმოთა გადაცემის ღონისძიებანი და დაადგინა კომისიის შემდგომი მუშაობის პროცედურა.

სხდომაში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ კურტ ლემანმა, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბ. პ. მარტინოვმა და გერმანიაში საბჭოთა ჭონების სამმართველოს ხელმძღვანელის მოადგილემ ს. ა. ფომენკომ.

ხელოვნების ქრონიკა

ქრონიკა

გ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

გუშინ მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — იაროსლავ გალანის „სიყვარული გარიჟრაჟზე“. სპექტაკლი დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ლილი იოსელიანმა, მხატვრულად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ სტალინური პრემიის ლაურეატმა იოსებ სუმბათაშვილმა, მუსიკა დაწერა ოლეგ ბარამიშვილმა.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, რუსთაველის სახალხო არტისტი ს. ზაქარიაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები გ. შავგულიძე, ი. კვინტალიანი, მ. ჯაფარიძე, რუსთაველის სახალხო არტისტი ც. თაყაიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კ. დაუშვილი და სხვ.

მუსიკალური კომედიის თეატრში

31 ოქტომბერს ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა სეზონი გახსნა შ. მილორავის მუსიკალური კომედიით „მათი ოცნება“.

თეატრის კოლექტივს განზრახული აქვს მომდინარე სეზონში მაყურებელს უჩვენოს რამდენიმე ახალი დადგმა, მათ შორის ლ. ჭუბაბრიის „კარგი ამხანაგი“. სპექტაკლის დადგმაზე მუშაობს თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ახალგაზრდა რეჟისორი გ. ქართველიშვილი, მუსიკას წერს გ. ცაბაძე; დ. თაქთაქიშვილის „სალხინობელი“, პიესის დადგმას განახორციელებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. გამრეკელი, მუსიკა ნ. გუდიაშვილისა; კ. ცახარაძის „ორი რეკორდი“, სპექტაკლს დგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ჩხარტიშვილი, მუსიკას წერს ი. გეჯაძე.

ძველ დადგმებიდან თეატრის კოლექტივი აღადგენს და მაყურებელს უჩვენებს: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „სასიძოები“, „მათი ოცნება“, „მეგობრები“, „ბრწყინვალე მომავალი“, „ერთხელ გაზაფხულზე“, „სამთა სიყვარული“, „საჩუქარი“, „შურისმაძიებელი“.

სპორტის ამბები

საქართველოს პირველობა ფეხბურთში

საქართველოს 1953 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. რესპუბლიკური ჩემპიონატის მეორე წრის მთავარი შეხვედრები გაიმართა თბილისში, ხაშურში, წითელწყაროსა და მახარაძეში.

თბილისის 26 კომსომოლის რაიონის ფეხბურთელთა კოლექტივმა მოუგო თელავის „დინამოს“ ანგარიშით 3:0, ხაშურის „ლოკომოტივმ“ — სტალინირის „სპარტაკს“ 2:1, წითელწყაროს „ნეფტიანიკმა“ — ბორჯომის ნაკრებს 1:0, მახარაძის რაიონის „კოლმეურნემ“ — სუხუმის „დინამოს“ 2:0.

რესპუბლიკური ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში

თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში დამთავრდა საქართველოს 1953 წლის გუნდური პირველობის გათამაშება ქართულ ჭიდაობაში. ფინალურ ასპარეზობას წინ უსწრებდა ზონალური შეხვედრები. გადამწყვეტ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, გორის, კასპის, მცხეთის, ახმეტის, გურჯაანისა და ქუთაისის გუნდებმა.

მაღალი სასპორტო მაჩვენებლებით დაამთავრა ასპარეზობა თბილისის პირველმა გუნდმა, რომელიც საქართველოს ჩემპიონი გახდა. ამ გუნდს გადაეცა პირველი ხარისხის დიპლომი და გარდამავალი ჯილდო.

გასწორება

„კომუნისტის“ 30 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სასურსათო საქონლის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ საქდესის მიზეზით დაშვებულია შეცდომა. გაზეთის პირველი გვერდის მე-4 სვეტის პირველი აბზაცი უნდა იკითხებოდეს: „საოლქო აღმასრულებელი კომიტეტები, სამხარეო აღმასრულებელი კომიტეტები“, შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორი დ. მჟელლიშვილი.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

1 ნოემბერს

ჩინეთის, კორეის და საბჭოთა ცირკის მსახიობების გამოსათხოვარი გასტროლები

დიდი საცირკო პროგრამა

3 განყოფილებად

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირაობით დღის ორი საბავშვო წარმოდგენა. დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.

ბილეთები იყიდება საბცირკის სალაროებში.

საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივები აწარმოებენ ძველი წერილობითი საბუთების, ისტორიული მნიშვნელობის ფოტოსურათების, სხვადასხვა პერიოდულ გამოცემათა კომპლექტების და წიგნების შესყიდვას მოსახლეობისაგან. მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 36, დაკომპლექტების განყოფილება.

შვილი ელენე ჭელიძე შვილებით, ძმისწულები ანტონ, თამარ, რძლები თინა, ქეთო ტყაბლაძეები, სიძე ტეიღდიანი, ნინო ჩიხლაძე, თამარ ფხაკაძე იუწყებიან **ანეტა ლუკას ასულ მახარაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-XI, 7 ს. გამოსვენება 3-XI, 5 ს. გოგოლის ქ. № 53.	კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი იუწყება **პლატონ დავითის-ძე ხუნდაძის** გარდაცვალებას.
	მეუღლე მაშო, შვილები ტიტე, თამარ, ნორა, ნოდარ, სიძეები მ. შავდია, ა. ხელაძე, რძალი და შვილიშვილები იუწყებიან **ისიდორე დავითის-ძე სიხარულიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-XI, 4 ს. ქუთაისში, გამოსვენება წყალსადენის ქ. № 66.
	მეუღლე ნადია, დები პასიკო, ეკატერინე, რძლები ოლღა, ეპრაქსი, ცოლისდები ალვასი, ვენერა, ძმისწულები მამია, გიორგი, სიძეები ი. მეფარიშვილი, მ. კაკურია, გ. ავალიანი ოჯახებით იუწყებიან **ლავროსი ანტონის-ძე მამალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-XI, 8 ს. გამოსვენება 3-XI, 5 ს. ბარათაშვილის ქ. № 13.
	თბილისის ქალთა მე-13 საშუალო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან **შარანოზ ვლადიმერის ასულ გუნცაძე-ბაქრაძის** გარდაცვალებას.
	და ოლია, დისწულები რაისა, ნათელა, გივი, ცისანა, მზია მიქაშავიძეები იუწყებიან **ვარდენ ივანეს-ძე მსხილაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-XI, 8 ს. გამოსვენება 3-XI, 5 ს. საბჭოს ქ. № 57.
	მეუღლე ვასილ, შვილები მიხეილ, ნინო, ელენე, ვლადიმერ, რძლები ელენე, ნინო, შვილიშვილები ვენერა, ზურაბ კაპანაძეები იუწყებიან **სოფიო ესტატეს ასულ ეზიაშვილი-კაპანაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XI, 4 ს. ჯალაურთაში (სიხერის რაიონი).
	ძმა ტრიფონ, რძალი ნატა, ძმისწულები ლამარა და ზურაბ იუწყებიან **დავით თედორეს-ძე თოდრაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-XI სოფელ წითელმთაში (მახარაძის რაიონი).
	დები ანა, ეთერ, ფაცია, ძმები უჩა, გელა ცქვიტინიძეები იუწყებიან **ასინეთ კონსტანტინეს ასულ თავართქილაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 1-XI, 2 ს. რუსთაველის პროსპ. № 1.
	ბიცოლა ეპრაქსი, ბიძაშვილები ლევან, ნატალია, შურა, დავით ნიკოლაიშვილები, რძლები ეკატერინე, მადლენა, სიძე გ. სულავა იუწყებიან **პლატონ დავითის-ძე ხუნდაძის** გარდაცვალებას.
	ქ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დირექცია და თანამშრომელთა კოლექტივი იუწყებიან **პლატონ დავითის-ძე ხუნდაძის** გარდაცვალებას.
	სოლომონ, ვიქტორ, ნინო, მარგალიტა, ვერა, ლიდა, გიორგი, ვალერიან ლეო, ქეთო მახარაძეები, თამარ, არჩილ ჭუმბურიძეები იუწყებიან რძლისა და ბიცოლას **ანეტა ლუკას ასულ მახარაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3-XI, 5 ს. გოგოლის ქ. № 53.
	თბილისის კოროვის რაისაბჭოს თანამშრომლები იუწყებიან **ვერა ალექსანდრეს ასულ ჟალიჩავას** გარდაცვალებას.
	მეუღლე ელენე, შვილები გ. და ე. კვიწინაძეები, დები ვარა, კატო, ლუბა, ძმა შალვა, რძლები ანა, ნადია შვილებით კვიწინაძეები იუწყებიან **დმიტრი ვასილის-ძე კვიწინაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-XI, 7 ს. გამოსვენება 3-XI, 4 ს. მცხეთის ქ. № 152.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა, ყოფაცხოვრების და საქმეთა მმართველობის — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომწვევის — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.